

## მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და წინადადებები საქართველოს კანონის პროექტზე ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (2021 წლის 8 დეკემბერს გავრცელებული ვერსიაზე)

გარემოსდაცვითი და სოციალური  
სამართლიანობისთვის  
საქართველოში

10 იანვარი, 2022

2021 წლის 8 დეკემბერს ნომბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის განახლებული ვერსია გამოაქვეყნა და დაინტერესებულ პირებს შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენა სთხოვა. გთხოვთ განიხილოთ მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და წინადადებები ამ დოკუმენტთან დაკავშირებით.

- მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

„1. ეს კანონი ადგენს სახეობების, ჰაბიტატების, ეკოსისტემების და ლანდშაფტების დაცვის, საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ საერთაშორისო ქსელებში ჩართული ტერიტორიების შექმნისა და მართვის, ველური მცენარეებით, სოკოებით და გარეულ ცხოველებით სარგებლობისა და საერთაშორისო ვაჭრობის, გენეტიკური რესურსების და მასთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნის ხელმისაწვდომობის და მათი გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილების სამართლებრივ საფუძვლებს“.

კონსერვაციის ინტერესებიდან გამომდინარე და გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, უკეთესი იქნება თუ ზურმუხტის ქსელი გამოიყოფა დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ქსელებში ჩართული ტერიტორიებისგან და ეს მუხლი შემდეგნაირად ჩამოყალიბდება:

„1. ეს კანონი ადგენს სახეობების, ჰაბიტატების, ეკოსისტემების და ლანდშაფტების დაცვის, ზურმუხტის ქსელის, დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ქსელებში ჩართული ტერიტორიების შექმნისა და მართვის, ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობისა და საერთაშორისო ვაჭრობის, გენეტიკური რესურსების და მასთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნის ხელმისაწვდომობის და მათი გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილების სამართლებრივ საფუძვლებს“.

ამ შემთხვევაში მე-2 მუხლში (იხ. ქვემოთ), ასევე ტერმინების განმარტებაში და სხვა მუხლებშიც უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილებები

- მუხლი 2. კანონის მიზანი

თბილისი, 0179, საქართველო  
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.  
+(995 32) 222 38 74  
greenalt@greenalt.org  
www.greenalt.org

არსებული ვერსია:

„3. ამ კანონის მიზნებისათვის საქართველოში შესაძლებელია შეიქმნას საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ საერთაშორისო ქსელებში ჩართული ტერიტორიების კატეგორიები – ზურმუხტის ქსელი, ბიოსფერული რეზერვატი, მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია“.

შემოთავაზებული ვარიანტი:

„3. ამ კანონის მიზნებისათვის საქართველოში შესაძლებელია შეიქმნას სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიების ეკოლოგიური ქსელი - ზურმუხტის ქსელი, დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ქსელებში ჩართული ტერიტორიების კატეგორიები – ბიოსფერული რეზერვატი, მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია“.

უნდა აღინიშნოს, რომ შინაარსობრივად არაფერს არ იძლევა ზურმუხტის ქსელის საიტების მოქცევა ამ გამაერთიანებელი ტერმინის ქვეშ.

- მუხლი 3. საქართველოს კანონმდებლობა ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში

„4. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია განსაკუთრებული დაცვის რეჟიმი დაადგინოს ადგილობრივი მნიშვნელობის, უნიკალური ბუნებრივი ტერიტორიების, იშვიათი ბუნებრივი და ბუნებრივ-კულტურული წარმონაქმნების, ველური მცენარის და მისი საარსებო გარემოს დასაცავად, რომელიც არ ექცევა ამ კანონის და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი სპეციალური დაცვის რეჟიმის ქვეშ, თუ ეს აუცილებელია ბიომრავალფეროვნების დაცვის ხელშეწყობის ან ნიადაგდაცვითი ფუნქციიდან გამომდინარე და ეს მნიშვნელოვანია სახეობის და მის საარსებო გარემოს იშვიათი, უნიკალური და მაღალი ესთეტიკური მახასიათებლების გათვალისწინებით. ტერიტორიის მიმართ განსაკუთრებული დაცვის რეჟიმის განსაზღვრის წესს ადგენს „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი ტერიტორიების, იშვიათი ბუნებრივი და ბუნებრივ-კულტურული წარმონაქმნების, მცენარეებისა და მათი საარსებო გარემოს დაცვის წესების დადგენის, გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის და მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და ადდგენის ტექნიკური რეგლამენტი“, რომელიც მტკიცდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით“.

ამ პუნქტით ძალიან კარგი სიახლე შემოაქვს კანონს, რამაც მომავალში ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს საქართველოს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგრადი გამოყენებისათვის. ეს არის მართლაც რევოლუციური რეფორმა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის სფეროში. ამ პუნქტს პრინციპულად მხარ ვუჭერ, თუმცა პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მაქვს შენიშვნა. პრაქტიკამ აჩვენა, რომ „ყოვლისმომცველი“ ნორმატიული აქტების შემუშავება და დამტკიცება დროში იწელება და ნაკლებად პროდუქტიულია. ამიტომ, ხომ არ იქნება უკეთესი, რომ ამ პუნქტით განსაზღვრული ერთი რეგლამენტის ნაცვლად შემუშავდეს ორი რეგლამენტი: 1) „ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი ტერიტორიების, იშვიათი ბუნებრივი და ბუნებრივ-კულტურული წარმონაქმნების, მცენარეებისა და მათი საარსებო გარემოს დაცვის წესების დადგენის, ტექნიკური რეგლამენტი“ და 2) „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის და მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და ადდგენის ტექნიკური რეგლამენტი“. პირველი შემთხვევისთვის „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე“ ამოსადგება - ყველა არსებული დაცული ტერიტორია, რომელსაც მართავს დაცული ტერიტორიების სააგენტო, რომელიმე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა.

- მუხლი 4. ტერმინთა განმარტებანი

„წ) ეკოსისტემური სერვისები - ადამიანთა კეთილდღეობის საქმეში ეკოსისტემების მიერ შეტანილი პირდაპირი და არაპირდაპირი წვლილი ადამიანის კეთილდღეობაში“;

რედაქციული შენიშვნა: „ადამიანის კეთილდღეობა“ ორჯერ წერია.

- მუხლი 4. ტერმინთა განმარტებანი

არსებული რედაქცია:

„მ) მკაცრად დაცული და დაცული სახეობების და ჰაბიტატების ნუსხა - სახეობებისა და ჰაბიტატების ჩამონათვალი, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს წითელი ნუსხისა და საერთაშორისო და ევროპული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხოლო მასში შეტანილი სახეობები და ჰაბიტატები საჭიროებს დაცვას, შესაბამისი რეჟიმით“.

ამ განსაზღვრებაში დამაბნეველია სიტყვები - „საქართველოს წითელი ნუსხისა“. ხომ არ აჯობებს, რომ გაკეთდეს მითითება მუხლზე, სადაც აღნიშნულია, „წითელი ნუსხის“ რომელი კატეგორიის სახეობები მიეკუთვნებიან მკაცრად დაცული და დაცული სახეობების და ჰაბიტატების ნუსხას.

- მუხლი 6. ბიომრავალფეროვნების დაცვის ძირითადი პრინციპები.

არსებული რედაქცია:

„დ) ყოველგვარი საქმიანობა, რომელმაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს გარეულ ცხოველთა სახეობების მდგომარეობაზე, გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოზე, გამრავლების არეალებზე, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელ გზებზე და დასარწყულებელ ადგილებზე უნდა ხორციელდებოდეს იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებიც უზრუნველყოფს მათ დაცვას;“

მოქმედ კანონმდებლობაში („ცხოველთა სამყაროს შესახებ“, „წითელი წიგნისა და წითელი ნუსხის შესახებ“) უფრო მკაცრი ფორმულირებებია. მიუხედავად ამისა, პრინციპული საკითხების გადაწყვეტისას (მაგალითად, ჰესების მშენებლობა, გზების გაყვანა ან წიაღის მოპოვება) კანონის ეს ჩანაწერი არასოდეს ყოფილა გამოყენებული და მისი დარღვევის ხარჯზე არაერთი ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა ან გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებაა გაცემული. ამრიგად, ასეთი ეს ჩანაწერი ასუსტებს ბიომრავალფეროვნების დაცვის შესაძლებლობას.

- მუხლი 13. გარეულ ფრინველთა სახეობების დაცვა

კარგი იქნება აქ ადვადგინოთ „შენიშვნა“, რომელიც შევიმუშავეთ ერთობლივად პროექტზე მუშაობისას:

„შენიშვნა: ფრინველები მიეკუთვნება გარეულ ცხოველებს, თუმცა ამ კანონის მიზნებისთვის მათი გამოყოფა და ცალკე მოწესრიგება გამოწვეულია ფრინველთა დაცვის განსხვავებული სტატუსით“.

- მუხლი 19. მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ველური მცენარეებისა და სოკოების ან მათი ნაწილების გარემოდან ამოღების საგამონაკლისო საფუძვლები

არსებული რედაქცია:

„8. იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობა არ წარმოადგენს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პირველი ან მეორე დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას, მაგრამ მისი განხორციელება საჭიროებს მკაცრად დაცული და დაცული სახეობის ველური მცენარეების და სოკოების ან მისი ნაწილის ბუნებრივი გარემოდან ამოღებას, ლიცენზიის ან/და ნებართვის გამცემი ორგანო ერთი ფანჯრის პრინციპით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ტერიტორიის მართვის ორგანოსთან შეთანხმებით განსაზღვრავს ველური მცენარეების და სოკოების გარემოდან ამოღების დასაშვებობას და შესაბამის საკომპენსაციო ღონისძიებებს“.

უნდა დაემატოს ამ პუნქტს შემდეგი: „დაცული და დაცული სახეობების გარემოდან ამოღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ალტერნატივა შეფასდა და არ ხერხდება ამოღების და/ან შეწუხების თავიდან აცილება“

ასევე, დასაზუსტებელია, მარტივი ადმინისტრაციული წარმოებაა თუ საჯარო?

- მუხლი 31. სტატუსის მინიჭება

ამ მუხლის მესამე პუნქტში განმარტებულია სახეობის სახარბიელო კონსერვაციული სტატუსი. იგივენიერად, განმარტებული უნდა იყოს ჰაბიტატის სახარბიელო კონსერვაციული სტატუსი - ისევე, როგორც არის მოცემული „ჰაბიტატების დირექტივაში“ (იხ. ქვემოთ, ამონარიდი ჰაბიტატების დირექტივის მუხლი 1-დან)

<p>(e) ბუნებრივი ჰაბიტატის საკონსერვაციო სტატუსი ნიშნავს ბუნებრივ ჰაბიტატზე და მისთვის დამახასიათებელ სახეობებზე ერთობლივად მოქმედ ზეგავლენებს, რასაც შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს მის გრძელვადიან ბუნებრივ განაწილებაზე, სტრუქტურასა და ფუნქციებზე, ასევე, მისთვის დამახასიათებელი სახეობების გადარჩენაზე გრძელვადიან პერსპექტივაში, მე-2 მუხლში მითითებული ტერიტორიის ფარგლებში.</p>	<p>(e) <i>conservation status of a natural habitat</i> means the sum of the influences acting on a natural habitat and its typical species that may affect its long-term natural distribution, structure and functions as well as the long-term survival of its typical species within the territory referred to in Article 2.</p>
<p>ბუნებრივი ჰაბიტატის საკონსერვაციო სტატუსი მიჩნეული იქნება „სახარბიელოდ“, როდესაც:</p>	<p>The conservation status of a natural habitat will be taken as 'favourable' when:</p>
<p>- მისი ბუნებრივი გავრცელების ფარგლები და ტერიტორიები, რომელსაც იგი ამ ფარგლებში ფარავს, სტაბილურია ან მატულობს და</p>	<p>— its natural range and areas it covers within that range are stable or increasing, and</p>
<p>- სპეციფიკური სტრუქტურა და ფუნქციები, რომლებიც მისი გრძელვადიანი შენარჩუნებისთვის არის საჭირო,</p>	<p>— the specific structure and functions which are necessary for its long-term maintenance exist and</p>
<p>არსებობენ და დიდი ალბათობით იარსებებენ განჭვრეტად მომავალშიც და</p>	<p>are likely to continue to exist for the foreseeable future, and</p>

- მისი ტიპური (მისთვის დამახასიათებელი) სახეობების საკონსერვაციო სტატუსი არის სახარბიელო, როგორც ეს (i) ქვეპუნქტში არის განსაზღვრული.	— the conservation status of its typical species is favourable as defined in (i);
---	---

(i) სახეობის საკონსერვაციო სტატუსი ნიშნავს მოცემულ სახეობაზე მოქმედ ზეგავლენათა ერთობლიობას, რასაც შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს მისი პოპულაციის გრძელვადიან გავრცელებაზე და რაოდენობაზე მე-2 მუხლში მითითებული ტერიტორიის ფარგლებში;	(i) <i>conservation status of a species</i> means the sum of the influences acting on the species concerned that may affect the long-term distribution and abundance of its populations within the territory referred to in Article 2;
საკონსერვაციო სტატუსი მიჩნეული იქნება „სახარბიელოდ“, როდესაც:	The <i>conservation status</i> will be taken as ‘favourable’ when:
- მოცემული სახეობის პოპულაციის დინამიკის მონაცემები მიუთითებენ, რომ იგი ხანგრძლივად ინარჩუნებს მდგომარეობას, როგორც მისი ბუნებრივი ჰაბიტატის სიცოცხლისუნარიანი კომპონენტი, და	— population dynamics data on the species concerned indicate that it is maintaining itself on a long-term basis as a viable component of its natural habitats, and
- სახეობის ბუნებრივი არეალი არც მცირდება და არც არის მოსალოდნელი მისი შემცირება განჭვრეტად მომავალში, და	— the natural range of the species is neither being reduced nor is likely to be reduced for the foreseeable future, and
- არსებობს, და სავარაუდოდ კვლავ იარსებებს, საკმარისად დიდი ჰაბიტატი, რომელიც ხანგრძლივად უზრუნველყოფს მისი პოპულაციის შენარჩუნებას;	— there is, and will probably continue to be, a sufficiently large habitat to maintain its populations on a long-term basis;

- მუხლი 36. ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასება

არსებული რედაქცია:

„პროექტის განხორციელების ადგილი მდებარეობს თუ არა ზურმუხტის ტერიტორიის ფარგლებში ან მის სიახლოვეს იმდენად, რომ მას შესაძლოა ექნეს ზემოქმედება ზურმუხტის ტერიტორიაზე“.

შემოთავაზებული რედაქცია:

პუნქტი 8.გ. „პროექტის განხორციელების ადგილი მდებარეობს თუ არა ზურმუხტის ტერიტორიის ფარგლებში ან მის გარეთ, მაგრამ მას შესაძლოა ექნეს ზემოქმედება ზურმუხტის ტერიტორიაზე“.

სიტყვა „სიახლოვეს“ ბევრი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. „ჰაბიტატების დირექტივა“ არ მიუთითებს, რომ ზურმუხტის საიტზე ზემოქმედების შეფასებისთვის მნიშვნელობა აქვს საქმიანობის

მდებარეობას. ევროპული პრაქტიკა აჩვენებს, რომ შესაძლებელია წყალშემკრებ აუზში დაგეგმილ საქმიანობას ჰქონდეს ზეგავლენა ზურმუხტის (ნატურა 2000) საიტზე, თუნდაც ათეულობით კილომეტრით იყოს დაშორებული. ამიტომ ასეთ შემთხვევებშიც აკეთებენ ზემოქმედების შეფასებას (შესაბამისობის შეფასებას).

- მუხლი 36. ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასება

არსებული რედაქცია:

„3. იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის საფუძველზე ჩატარებული სკოპინგის პროცედურის ფარგლებში უნდა დადგინდეს ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების საჭიროება. თუ სამინისტროს მიერ გაცემული სკოპინგის დასკვნა ითხოვს საქმიანობის ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასებას, ეს შეფასება უნდა ახლდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშს. ეს ვალდებულება არ გამოირიცხავს დაინტერესებული პირის უფლებას, სკოპინგის ანგარიშის მომზადებამდე ან სკოპინგის ანგარიშთან ერთად წარმოადგინოს ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასება“

ხომ არ აჯობებს ასე:

3. იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობა შედის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პირველ დანართში და ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის საფუძველზე ჩატარებული სკოპინგის პროცედურის ფარგლებში უნდა დადგინდეს ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების საჭიროება. თუ სამინისტროს მიერ გაცემული სკოპინგის დასკვნა ითხოვს საქმიანობის ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასებას, ეს შეფასება უნდა ახლდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშს. ეს ვალდებულება არ გამოირიცხავს დაინტერესებული პირის უფლებას, სკოპინგის ანგარიშის მომზადებამდე ან სკოპინგის ანგარიშთან ერთად წარმოადგინოს ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასება.

არსებული რედაქცია:

„4. იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობა ექვემდებარება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ სკრინინგის პროცედურას და სკრინინგის პროცედურის ფარგლებში არ გამოირიცხა საქმიანობის ზურმუხტის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესაძლებლობა, ხოლო საქმიანობა სკრინინგის პროცედურის შედეგად არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, ხორციელდება ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასება, რომლის საფუძველზეც მიიღება გადაწყვეტილება საქმიანობის განხორციელების დასაშვებობის თაობაზე“.

ხომ არ აჯობებს ასე:

„4. იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობა შედის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მეორე დანართში და ექვემდებარება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ სკრინინგის პროცედურას და სკრინინგის პროცედურის ფარგლებში არ გამოირიცხა საქმიანობის ზურმუხტის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესაძლებლობა, ხოლო საქმიანობა სკრინინგის პროცედურის შედეგად არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, ხორციელდება ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასება, რომლის საფუძველზეც მიიღება გადაწყვეტილება საქმიანობის განხორციელების დასაშვებობის თაობაზე“.

- მუხლი 36. ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასება

არსებული რედაქცია:

„14. იმ შემთხვევაში, თუ ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასება გამოავლენს, რომ საქმიანობას ექნება მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა ზურმუხტის ტერიტორიაზე, სამინისტრო ბერნის კონვენციის შესაბამის ორგანოებთან კონსულტაციების გათვალისწინებით იღებს დადებით გადაწყვეტილებას იმ შემთხვევაში, როდესაც გეგმის ან პროექტის მიმართ არსებობს უპირატესი საჯარო ინტერესი და არ არსებობს ალტერნატიული გადაწყვეტილება ან ის შეუსაბამოდ მაღალ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ასეთ შემთხვევაში სამინისტრო, ბერნის კონვენციის შესაბამის ორგანოების კონსულტაციების გათვალისწინებით, ადგენს საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებას, რამაც უნდა უზრუნველყოს ზურმუხტის ქსელის მთლიანობის შენარჩუნება“.

მნიშვნელოვანია, რომ ამ პუნქტის ფორმულირება დაუახლოვდეს ჰაბიტატების დირექტივის მე-6 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებს. არასწორია, როდესაც ალტერნატივაზე უარის თქმა ხდება იმ მიზეზით, რომ „ის შეუსაბამოდ მაღალ ხარჯებთან არის დაკავშირებული“. ასევე დირექტივიდან კანონმდებლობაში უნდა გადმოვიდეს, რომ საზოგადოებრივი ინტერესით გამოწვეული აუცილებლობა გულისხმობს მხოლოდ შემდეგ შემთხვევებს: ადამიანთა ჯანმრთელობასა და საზოგადოების უსაფრთხოება, ექნება პირდაპირი დადებითი შედეგები გარემოსთვის ან სხვა, აუცილებლობა, რაზეც არსებობს კომისიის თანხმობა.

გთავაზობთ შემდეგ რედაქციას:

14. იმ შემთხვევაში, თუ ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასება გამოავლენს, რომ საქმიანობას ექნება მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა ზურმუხტის ტერიტორიაზე, სამინისტრო ბერნის კონვენციის შესაბამის ორგანოებთან კონსულტაციების გათვალისწინებით იღებს დადებით გადაწყვეტილებას იმ შემთხვევაში, როდესაც გეგმის ან პროექტის მიმართ არსებობს საზოგადოებრივი ინტერესით გამოწვეული აუცილებლობა და არ არსებობს ალტერნატიული გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში სამინისტრო, ბერნის კონვენციის შესაბამის ორგანოების კონსულტაციების გათვალისწინებით, ადგენს საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებას, რამაც უნდა უზრუნველყოს ზურმუხტის ქსელის მთლიანობის შენარჩუნება.

ზურმუხტის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენის მქონე პროექტის ან გეგმის განხორციელების საკითხი შეიძლება წამოიჭრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის უკავშირდება ადამიანთა ჯანმრთელობასა და საზოგადოების უსაფრთხოებას, ექნება პირდაპირი დადებითი შედეგები გარემოსთვის, ან კომისიის მოსაზრებით, არსებობს საზოგადოებრივი ინტერესით გამოწვეული სხვა აუცილებლობა.

- კანონპროექტის პირველი მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, ტყის კოდექსი „იჭრება“/გადაფარავს დაცული ტერიტორიების მართვის საკითხებს. ამგვარმა მიდგომამ გასული ათწლეულების განმავლობაში დიდი ზიანი მიაყენა ბიომრავალფეროვნებას. სამწუხაროდ, იკვეთება ტენდენცია, რომ გაგრძელდება დაცული ტერიტორიების და ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული სხვა ადგილების სამეურნეო დანიშნულების ტყის მსგავსად მართვა და შესაბამისად, ბიომრავალფეროვნების კარგვა კანონის დარღვევის გარეშე.
- კანონპროექტი არასრულყოფილი სახითაა წარმოდგენილი, მას არ ახლავს ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული სხვა კანონების პროექტები. შესაბამისად, დაინტერესებული საზოგადოებისთვის შეუძლებელია იყო სრულყოფილად შეაფასოს დაგეგმილი რეფორმების დადებითი მხარეები და გამოწვევები. განსაკუთრებით დიდი ნაკლია, რომ არ ჩანს იმ კანონმდებლობის კონტურებიც კი, რომლებმაც უნდა მოაწესრიგოს თევზჭერასთან და სანადირო სავარგულთან, სანადირო სახეობათა აღწარმოებასა და ნადირობასთან დაკავშირებული ურთიერთობები; უცნობია, რა ცვლილებები შედის „ცხოველთა სამყაროს

შესახებ“ საქართველოს კანონში და შესაბამისად გაუგებარია, თუ როგორ დარეგულირდება არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი; უცნობია, თუ რა ცვლილებები შედის „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც ასევე არის მუხლები, რომლებიც არეგულირებენ საერთაშორისო მნიშვნელობის დაცული ტერიტორიების საკითხებს. არ ვიცით, რა ცვლილებები შედის „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კანონის მიღებასთან ერთად „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“ და „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონში. ყველა ამ ჩამოთვლილ (და არა მარტო) კანონთან სინქრონიზაციის გარეშე, „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კანონი უმოქმედო აქტი იქნება.

- ზურმუხტის საიტებისა და საერთაშორისო მნიშვნელობის დაცული ტერიტორიების დაარსების დროს საზოგადოების მონაწილეობის საკითხები არ არის საკმარისად წარმოდგენილი.
- მიზანშეწონილია კონსერვაციის დარგის ექსპერტებთან და ქართული ენის სპეციალისტებთან დაზუსტდეს, რომელი ტერმინის დაკანონება იქნება უფრო სწორი: ტერმინი „საკონსერვაციო სტატუსი“ თუ „კონსერვაციული სტატუსი“. ასევე კარგი იქნება განვიხილოთ ტერმინი „ბიოსფერული რეზერვატი“.